ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

მოქალაქის გზამკვლევი

2021 წელი, თებერვალი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების, USAID-ის ან USAID GGI-ის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

ახალციხის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 5

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 12

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 14

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2021 წლებში 16

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი 17

- ბიუჯეტის შემოსულობები 17
- ნაშთის ცვლილება 21
- ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 22
  - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 25
  - ინფრასტრუქტურის განვითარება 26
  - დასუფთავება და გარემოს დაცვა 32
  - განათლება 33
  - კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 35
  - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 40
- ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 44

შესავალი

ბიუჯეტის გზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის გზამკვლევი მოიცავს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, ბიუჯეტი ახალციხის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2020 წლის 15 დეკემბერს. 2020 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #2685 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 4.4 მლნ ლარის ოდენობის კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს. 2020 წლის 27 იანვარს ახალციხის საკრებულოს დადგენილებით ცვლილებები შევიდა 2021 წლის ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რითაც ბიუჯეტში აისახა ზემოაღნიშნული ტრანსფერის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთზე არსებული თანხის გამოყენების შესახებ ინფორმაციები.

გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2021 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2021 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2020 წლის ფაქტიურ მაჩვენებლებს, როგორც შემოსავლების ასავე ხარჯების ნაწილში. 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2021 წლის ბიუჯეტიდან.

ახალციხის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ახალციხის მუნიციპალიტეტი, — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სამხრეთ საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის მხარეში. ადმინისტრაციული ცენტრი — ახალციხე. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალციხის მაზრაში შედიოდა, 1917–30 წლებში — აღმოსავლეთ საქართველოში ახალციხის მაზრის სახელწოდებით, 1930 წლიდან ცალკე რაიონია. 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიას გამოეყო ქალაქი ახალციხე.

მუნიციპალიტეტი მდებარეობს ახალციხის ქვაბულში, უჭირავს მტკვრისა და ფოცხოვის ხეობები. მუნიციპალიტეტის ტერიტორია — 1010 კვ.კმ-ა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 410 კვ.კმ. ახალციხის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ხარაგაულისა და ბორჯომის, აღმოსავლეთიდან -ასპინძის, ხოლო დასავლეთიდან - ადიგენის მუნიციპალიტეტი. სამხრეთის საზღვარი ემთხვევა საქართველო – თურქეთის სახელმწიფო საზღვარს.

ახალციხის მუნიციპალიტეტში თავს იყრის მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან: სომხეთიდან და თურქეთიდან მომავალი გზები. მის ტერიტორიაზე გადის საქართველოს საერთაშორისო ავტომაგისტრალები ს 8 და ს 11; აგრეთვე ახალციხე - ბათუმის გზა, ასევე ხაშური-ვალეს რკინიგზის მონაკვეთი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზამთარი – ცივი, მცირეთოვლიანი, ზაფხული - ხანგრძლივი და თბილი. ახალციხის ქვაბულის ძირზე იანვრის საშუალო ტემპერატურა 3,8 °C, აგვისტოსი 20,5 °C. უფრო მაღალ ზონაში, მესხეთის ქედზე, ზღვის ნოტიოდან ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი ჰავაა. ერუშეთის ქედის თხემურ ზოლში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზაფხული – მოკლე, ზამთარი – ცივი, ნალექები დაბალ ზონაში 520 მმ არ აღემატება წელიწადში, მოსაზღვრე ქედების კალთებზე კი 1200 მმ არ აღწევს.

ნალექების მაქსიმუმი მოდის მაისსა (64 მმ) და ივნისში (86 მმ) მინიმუმი ზამთრის თვეებში (იანვრი 20 მმ, თებერვალი 25 მმ).

ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა საკრებულო, აღმასრულებელი თანამდებობის პირია გამგებელი. ტერიტორიული ერთეულებია: ქალაქი — 1: ვალე; თემი — 14: აგარა, ანდრიაწმინდა, აწყური, ელიაწმინდა, კლდე, მინაძე, პამაჯი, საძელი, სვირი, სხვილისი, ურაველი, ფერსა, წყალთბილა, წყრუთა. მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია - 64,8%, ეთნიკურად სომხები კი - 34,5% შეადგენენ. ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა, არის მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. სტატისტიკის სამსახურის ბოლო ინფორმაციით ახალციხის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა შეადგეს 39.4 ათას კაცს.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს თბილისის მაჩვენებლებს

ეკონომიკის წამყვანი დარგია მრეწველობა, არის მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები.

მუნიციპალიტეტში არის 9 საბავშვო ბაღი, 46 საჯარო სკოლა და ვალეს სამუსიკო სკოლა. მუნიციპალიტეტში არის 42 ბიბლიოთეკა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: https://www.akhaltsikhe.gov.ge/ge

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორცილედება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2019 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 76% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2019 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #3

მუნიციპალიტეტების 2019 წლის ნაერთი შემოსულობების საკუთარი შემოსულობების სტრუქტურა (თანხა მლნ ლარი)



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (42%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გასულ წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები. კერძოდ, 2018 წლის მიხედვით გათანაბრებითი ტრანსფერიდან და საშემოსავლო გადასახადიდან მუნიციპალიტეტების ჯამურმა შემოსავლებმა 828,5 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს დღგ-დან მუნიციპალიტეტების

შემოსავალმა შეადგინა - 995,4 მლნ ლარი (20%-იანი ზრდა). 2019 წლის მაჩვენებლების მიხედვით დღგ-დან მიღებული შემოსავლები საკუთარი შემოსულობების თითქმის ნახევარს 49%-ს, ხოლო მთლიანი შემოსულობების 37%-ს შეადგენს.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი რეფორმის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლებიდან, კაპიტალური შემოსავლებიდან და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში) მისაღები თანხები.

შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2019 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პრიპორცია.

გრაფიკი #4



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი"-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი"-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების

მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან. ესენია:

- მეტი აქცენტი კეთდება პრიორიტეტების დოკუმენტის სწორ შემუშავებაზე
- აუცილებელი ხდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება
- დეტალურად გაიწერა ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა
- დაზუსტდა ბიუჯეტის თანმდევი დოკუმენტები და მათი შედგენის ფორმატი - პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, ააიპ-ების ბიუჯეტები
- დაკონკრეტდა და უფრო მკაფიოდ გაიწერა ბიუჯეტის პროექტის მომზადების ფაზები და კალენდარი
- განისაზღვრა პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შედგენის ფორმები
- ცალკე გამოიყო და დადგინდა მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების გაანგარიშების მეთოდიკა
- განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების სტრუქტურა

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი

მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2021 წლებში

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2010-2021 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

გრაფიკი #6



* 2010-დან 2020 წლის ჩათვლით მოცემულია ფაქტიური, ხოლო 2021 წლებში გეგმიური მაჩვენებლები

ბოლო წლების მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 20%-დან 30%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნარეთ ბიუჯეტში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,2%-ის ფარგლებშია.

2010-დან 2021-წლმადე პერიოდში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 17,6 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროცენტულ მაჩვენებლებში 383%-ია (2011 წელს 6,2 მლნ და 2020 წელს 23,8 მლნ ლარი). ჯამში 2010-დან 2020 წლის ჩათვლით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 220,8 მლნ ლარი ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში 20,0 მლნ ლარია.

ახალციხის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 19% (გრაფიკი #7), რაც 13%-ით მეტია საქართველოს მუნიციპალიტეტების საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (6%), ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯამურ მაჩვენებელზე (18%) 1%-ით მეტი .

გრაფიკი #7



ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2019-2021 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 11,5 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 14,5 მლნ ლარი შეადგინა. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 69,5% შეადგინა. წინა წლებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ახალციხის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

გრაფიკი #9

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით



გრაფიკი #10

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში



ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ 2021 წელს დაგეგმილია 3 სახის გრანტის (ტრანსფერის) მიღება, მათ შორის ძირითადია კაპიტალური ტრანსფერი რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყო 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ და 2021 წლის ბიუჯეტში აისახა იანვრის თვეში განხორციელებული ცვლილებით. გრაფიკ #11-ზე წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების ახალციხის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 7,5% (1,568.2 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 0,5% (140.0 ათასი ლარი). ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12



ნაშთის ცვლილება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი გადასახდელების დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 2,9 მლნ ლარის ნაშთის გამოყენებას, რაც ბიუჯეტის ასიგნებების 13,8%-ია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ათას ლარში

	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
შემოსულობები	**25,129.2**	**25,494.2**	**20,895.1**
შემოსავლები	24,988.6	25,352.5	20,755.1
არაფინანსური აქტივების კლება	140.5	141.7	140.0
გადასახდელები	**27,214.9**	**26,014.3**	**23,774.0**
ხარჯები	13,556.4	12,665.1	13,565.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,598.6	13,229.4	10,089.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	59.9	119.8	119.9
ნაშთის ცვლილება	**-2,085.7**	**-520.1**	**-2,878.9**

გრაფიკი #13



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 16,5 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14



გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2019-2021 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2019-2021 წლები).

გრაფიკი #15



გრაფიკი #16



გრაფიკი #17



2021 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,885.9
ინფრასტრუქტურის განვითარება	8,703.9
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,970.0
განათლება	4,651.7
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3,049.4
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,513.1
სულ ასიგნებები	**23,774.0**

გრაფიკი #18



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალი პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 3,885.9 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 23,6%-ს შეადგენს. 2019-2020 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



2021 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობითი ხარჯების დაფინანსება

ათასი ლარი

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	**3,860.9**
საკრებულო	904.4
მერია	2,547.0
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	96.0
სარეზერვო ფონდი	100.0
ვალდებულებების მომსახურება (მ.გ.ფ.)	188.5
საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	25.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



ინფრასტრუქტურის განვითარება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 37% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 8,703.9 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები 51% ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობებიდან, ხოლო 49% წარმოდაგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ძირითადი პროგრამები:

ათასი ლარი

		სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**8,703.9**	**4,455.7**	**4 248,3**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	**1757.6**	**1381,2**	376,4
02 02	წყლის სისტემების განვითარება	**1725.5**	**930,1**	795,4
02 03	გარე განათება	**354.4**	**346**	8,4
02 07	კეთილმოწყობა	**4866.6**	**1798,4**	3068,1

<u>გრაფიკი #22</u>

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ძირითადი პროგრამები 2021 წელს



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების</u> პროგრამა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა. პროგრამა შედგება შემდეგი 2 ქვეპროგრამისგან:

- ✓ გზების მიმდინარე შეკეთება
- ✓ ახალი გზების მშენებლობა

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ: ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წელს დაგეგმილია შემდეგი 11 პროექტის განხორციელება, როგორც ადგილობრივი ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან:

- სოფ. ანდრიაწმინდის გზის რეაბილიტაცია;

- ქ. ახალციხეში „ე.წ მლაშიხევის“ სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

- ქ. ვალეში მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი);

- ქ. ახალციხეში ტაბიძის ქუჩის რეაბილიტაცია;

-სოფ. წყრუთი-წირის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);

- ქ. ახალციხეში მარდიჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია;

- სოფ. თისელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი);

- ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩის საავტომობილო გზის მოწყობა;

- ქ. ახალციხეში ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაცია;

- ქ. ახალციხეში ქუთაისისა და გორის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქ. ვალესა და სოფ. წინუბნის გზის რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ინდიკატორებია:

გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები

საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს პროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 37 500 კვ/მ გზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 2 500 კვ/მ; არასფალტირებული -35 000 კვ/მ

სამიზნე მაჩვენებელი: 2021 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 40 000 კვ/მ გზას; მათ შორის ასფალტირებული გზა 2 500 კვ/მ; არაასფალტირებული -37 500 კვ/მ

შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს პროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 3 700 პირდაპირი და 9000 არაპირდაპირი ბენეფიციარი

სამიზნე მაჩვენებელი: 2021 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოები 4 000 პირდაპირი და 11 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი

<u>წყლის სისტემების განვითარების -</u> ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას. ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალციხეში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია:

- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;
- ✓ წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრას დროულად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსება გამოიყო სოფელ მუგარეთში სასმელი წყლის მაგისტრალური მილსადენის მოწყობასა და სოფელ წნისში სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

პროგრამის ინდიკატორებია:

რეაბილიტირებული წყალსადენის სიგრძე

საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ ვალესა და 14 თემში 11 სატუმბო სადგურის და 40 კმ. სარწყავი არხის მოვლა- რეაბილიტაცია, ბუნებრივი სარწყავი არხებით და მექანიკური სატუმბო სადგურების საშუალებით სარწყავი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების მოწყობა და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია

სამიზნე მაჩვენებელი: 2021-2024 წლებში ყოველწლიურად დაგეგმილია არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის მოცულობის სამუშაოების შესრულება. საბოლოო მიზნობრივი მაჩვენებელი იქნება ახალციხის მუნიციპალიტეტში არსებული ყველა იმ წყალსადენის რეაბილიტაცია, რომლებიც საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას. ასევე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება ახალი წყალსადენის ქსელის მშენებლობასთან დაკავშირებით

რეაბილიტირებული წყლის სათავე ნაგებობით და წყალსადენებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული წყალსადენების ქსელით (მ.შ. სათავე ნაგებობები) ისარგებლებს ქალაქი ვალე და 14 თემი;

სამიზნე მაჩვენებელი: 2021-2024 წლებში ყოველწლიურად დაგეგმილია არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის ბენეფიციარის მოცვა. საბოლოო მიზნობრივ მაჩვენებელს, მუნიციპალიტეტის ყველა მოსახლის და სტუმრის, 24 საათიანი და ხარისხიანი სასმელი წყლის შეთავაზება წარმოადგენს

რეაბილიტირებული (მ.შ. ახალი) წყლის სათავე ნაგებობები

საბაზისო მაჩვენებელი: 2020 წელს პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 წყლის სათავე ნაგებობას

სამიზნე მაჩვენებელი: 2021 წელს დაგეგმილია რეაბილიტაცია ჩაუტარდეს 6 წყლის სათავე ნაგებობას.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 252,4 ათსი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- ✓ გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია;
- ✓ გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა.

პროგრამის ინდიკატორებია:

გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება პროგრამის ფარგლებში

საბაზისო მაჩვენებელი: 3738 ერთეული

სამიზნე მაჩვენებელი: მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება ყველა არსებული 3738 ერთეული სანათი წერტილების მოვლა-პატრონობა. პროგრამის მიზნობრივი მაჩვენებული არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ყველა (მ.შ. გაზრდილი) სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა (ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურება)

შეკეთებული (გამოცვლილი) სანათი წერტილების რაოდენობა, განათების ბოძების რაოდენობა და სადენების სიგრძე

საბაზისო მაჩვენებელი: საშუალოდ, წლის განმავლობაში ხორციელდება 1500 ერთეული სანათი წერტილის, 40 ერთეული განათების ბოძის და 3500 გრძივი მეტრი სადენის შეკეთება (გამოცვლა)

სამიზნე მაჩვენებელი: 2021 წელს გაგრძელდება გარე განათების დაზანებული ინფრასტრუქტურის შეკეთება. არსებული სიტუაციისა და წინა წლების სტატისტიკის გათვალისწინებით წელიწადში საშუალოდ შეკეთდება (გამოიცვლება): 1800 ერთეული სანათი წერტილი; 65 ერთეული განათების ბოძი და 5000 გრძივი მეტრი სადენი. პროგრამის საბოლოო მიზნობრივი მაჩვენებელი იქნება გარე განათების ქსელის ინფრასტრუქტურის სრული გამართული ფუნქციონირება

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 8% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,970.0 ათას ლარს შეადგენს. 2019-2021 წლებში პრიორიტეტის ფარგელებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23



ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება,რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ისეთი ხარჯები როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 9 ნაგავმზიდი.

პროგრამის ინდიკატორებია:

ყოველდღიურად ნარჩენებისგან დაცლილი ურნების რაოდენობა

საბაზისო მაჩვენებელი: გასულ პერიოდში საშუალოდ წელიწადში ხორციელდებოდა 400 ურნის დამატება

სამიზნე მაჩვენებელი: არსებული მოცულობით გაგრძელდება ნარჩენების ურნების დაცლა და ყოველდღიურად მოხდება 900 ურნის დაცლა

დაზიანებული და შეკეთებული ურნების რაოდენობა წლის განმავლობაში

საბაზისო მაჩვენებელი: გასულ პერიოდში საშუალოდ წელიწადში შეკეთება უტარდებოდა 100 ცალ ურნას

სამიზნე მაჩვენებელი: 2021 წელს შეკეთდება 150 ცალი ურნა

განათლება

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 4,651.7 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #24-ზე.

გრაფიკი #24



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2019-2021 წლებში (ათასი ლარი)

	2019	2020	2021
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,601.9	2,310.6	3,250.0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,106.4	1,596.0	1,381.7
ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	13.5	21.5	20.0
განათლება	**3,721.8**	**3,928.1**	**4,651.7**

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის ბაგა - ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენს სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, რომლის მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2020 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 437 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცა. "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიებით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა, წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 3,049.4 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 12.8%-ია.

გრაფიკი #25



პრიორიტეტის ფარგლებში 2021 წლის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 5 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათასი ლარი**
სპორტის სფეროს განვითარება	822.5
კულტურის სფეროს განვითარება	2037.9
ახალგაზრდობის მხარდაჭერა	74.0
თეატრები	100.0
ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	15.0
სულ	**3,049.4**

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამის ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 94%-ია (2,860.4 ათასი ლარი).

გრაფიკი #26



კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 2,085,1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 4 ქვეპროგრამა:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა	ათასი ლარი
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება-ქ. ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა	332.5
ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი	215.0
სპორტული ღონისძიებები	150.0
სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	125.0
სულ	**822.5**

გრაფიკი #27



ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება-ქ. ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა - ქვეპროგრამა აერთიანებს სპორტის 13 სახეობის სპორტულ კლუბს - ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კიკბოქსინგი, ველოსპორტი, ჭადრაკი, ძიუდო, ტაეკვანდო, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა. სპორტულ სასწავლო პროგრამაში ჩართულია 400 -მდე აღსაზრდელი და 23 მწვრთნელი (პედაგოგი), სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობენ ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში. ქვეპროგრამის მიზანია: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, ახალგაზრდების მომზადება და მონაწილეობა ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებსა და ოლიმპიადებში. წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება და სათანადო ხელშეწყობა მათი უკეთესი მომზადებისათვის. რაიონული სპორტული ღნისძიებების მომზადება, ამასთანავე ხელშეწყობა, რათა სასპოტო სკოლის უფრო მეტმა სპორტსმენმა მიიღოს მონაწილება მუნიციპალიტეტის გარეთ საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. მუშაობა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლებში, სკოლებში, უბნებში რათა უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს და ჩაერთოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის მიზანია: სპორტული ფილიალების ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. გაერთიანება განაწილებულია 15 ფილიალად, რომელშიც წარმოდგენილია 41 სპორტის სახეობა. ყოველწლიურად თვალშისაცემია სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების შედეგები, რაც ქალაქისათვის, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, მნიშვნელოვან წარმატებებს განაპირობებს.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 2,085,1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 7 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა	**ათასი ლარი**
კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	678.8
ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	448.0
ა(ა)იპ ახალციხის ციხე	333.0
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	231.0

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	195.0
კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100.0
ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა	52.1
სულ	**2,037.9**

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი - 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა-მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი , ფოლკლორული ანსამბლი ,, მესხეთი". კულტურის სახლებში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა შემოქმედებითი წრეები: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, მუსიკალური. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 900 აღსაზრდელი. კულტურის სახლების წლიური დაფინანსება შეადგენს 105550 ლარს. ფოლკლორული ანსამბლი, რომლის წლიური დაფინანსება შეადგენს 51000 ლარს, შედგება 12 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში. სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების, თექის გამოყვანის ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 400-მდე ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. წლიური დაფინანსება შეადგენს 18640 ლარს. მუზეუმი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში. აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალებში, რომელიც ხელს უწყობს ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 127 160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 20 000 მოსახლე. წლიური დაფინანსება შეადგენს 133 410 ლარს. ბიბლიოთეკებში მკითხელის რაოდენობის ზრდას განაპირობებს სისტემატური ღონისძიებები, თანამედროვე მწერლების ახალი წიგნების პრეზენტაციები და ამასთანავე კლასიკური მწერლების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. გაერთიანებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრი ემსახურება ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას, ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების გამოვლენა-წარმოჩინებას. წლიური დაფინანსება შეადგენს 62 100 ლარს. კულტურის გაერთიანებაში შემავალი ყველა ობიექტის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას კონტროლს და მეთოდურ მითითებებს უწევს ადმინისტრაციული პერსონალი. წლიური დაფინანსება შეადგენს- 97600 ლარს. ქვეპროგრამის მიზანია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, კულტურის დონის ამაღლება.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება-ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას იღებს 338 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 52 პედაგოგი და 17 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 3 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო და საორკესტრო.

სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია - მომავალი თაობების აღზრდაში ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მომავალი თაობების კულტურულ და ესთეტიკურ აღზრდას, ქვეპროგრამის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სწავლის დონის განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნა. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სამუშაო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებაზე, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება. შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია.

გრაფიკი #28



ა(ა)იპ ახალციხის ციხე – ქვეპროგრამა ითვალისწინებსა(ა)იპ ,,ახალციხის ციხის " წარმოჩენა-პოპულარიზაციას, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობას ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, შენახვას , დასუფთავებასა და გამწვანებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 1,513.1 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 6,4%-ს შეადგენს.

გრაფიკი #29



2021 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 78% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (1,185.5 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 22% (327.6 ათასი ლარი).

გრაფიკი #31



საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით, ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა, „c" ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, COVID-19 ის გავრცელების მართვა და ეპიდზედამხედველობა, სამიზნე ჯგუფების ტესტირება და მონიტორინგი. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ–ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ახალციხის 2021 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს 1,185.5 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 12 ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძლებით გადააადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	3.0
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარება	155.5
II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18.0
ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	165.0
ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18.0
იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	149.0
99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	13.0
ქ. ახალციხეში გზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამა	22.0
ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	73.0
აწყურში განვითარებული მეწყრის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	14.0
მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	512.0
სახელოვნებო სკოლებში სოც.შეღავათების მქონე პირთა შვილებისათვის სოციალური დახმარება	43.0
სულ	**1,185.5**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს შშმ პირთთვის და შშმ ბავშვთათვის ფულადი დახმარების გაწევა მათი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. პროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი - მუნიციპალიტეტში ბენეფიციარების კვებით უზრუნველყოფა ხდება მათი მომართვის საფუძველზე. დღეის მდგომარეობით 200 - მდე სოციალურად დაუცველის სტატუტის მქონე პირი, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის განაცხადია გაკეთებული სოციალურ სამსახურში კვებით უზრუნველყოფის მოთხოვნით. სათნოების სახლს აქვს 200 ბენეფიციარის გამოკვების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

<u>გრაფიკი #30</u>

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა



<u>იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება</u> - იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სადღესასწაულო (საახალწლო და სააღდგომო) დღეებში სოციალური დახმარება ფულადი ან მატერიალური ფორმით, ჰემოდიალიზით მოსარგებლეთა სოციალური დახმარება ფულადი ფორმით, მათი ფინანსური მხარდაჭერა, მზრუნველობამოკლებულთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სურსათით უზრუნველყოფა ყოველკვარტალურად, ხოლო სასადილოში კვებაზე მყოფი ბენეფიციარებისთვის ფულადი დახმარება, სააღდგომოდ და საახალწლოდ.

<u>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება</u> ქვეპროგრამა მოიცავს - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება დაავადებათა დროული გამოვლენის მიზნით, გეგმიური და ურგენტული ქირურგიული მომსახურებების, ასევე სტაციონარული მომსახურებების საჭიროების მქონე მოქალაქეების ფინანსური მხარდაჭერა, ონკოლოგიურ პაციენტთა ხელმისაწვდომობა საჭირო მკურნალობის პროცედურებსა და მედიკამენტებზე, შშმ ვეტერანთა და ქრონიკულ დაავადებათა მატარებელ პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა. თანადაფინანსების გზით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათ მიერ გასაწევი ხარჯების შემცირება.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2019-2021 წლების მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 77,0 მლნ ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #31-ზე და #32 გრაფიკებზე:

გრაფიკი #31



გრაფიკი #32



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ახალციხის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 48% (36,9 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით; 20% ანუ 15,7 მლნ ლარი დაიხარჯება სუბსიდიების მუხლით და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #31 და #32 გრაფიკებზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #33-ზე.

გრაფიკი #33

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2019-2021 წლებში